ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის 2013 წლის 5 თებერვლის №21 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

26 სექტემბერი, 2013 წელი

ქ. ზესტაფონი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1) ნუგზარ ქამუშაძე –(კომისიის თავჯდომარე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი;

2) მალხაზ ღოლაძე - (კომისიის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

3) ბესიკ ღიბრაძე – (კომისიის მდივანი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთ. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

4) ვიტალი ჩინჩალაძე – (კომისიის წევრი)საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

5) თემურ წიწილაშვილი-(კომისიის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი

სატენდერო კომისიის აპარატი

მედეა ნანიტაშვილი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

დღის წესრიგი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო (№957) წინადადებების განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავჯდომარემ ნუგზარ ქამუშაძემ კომისიას მოახსენა, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შ.პ.ს. ,,ზესტაფონპროექტ"-მა.
ამის სემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.
შ.პ.ს. ,,ზესტაფონპროექტ"–მა წარმოადგინა საკონკურსო წინადადების ფასი 2790 ლარი
შ.პ.ს. ,,ზესტაფონპროექტ"–ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მოთხოვნებს.

კომისიამ იმსჯელა ერთ–ერთ კომისიის წევრზე თემურ წიწილაშვილზე რომელიც მონაწილე მეწარმე სუბიექტთან იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში, აღნიშნულის საფუძველზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული მისი კომისიიდან აცილების შესახებ.

კომისიამ დაადგინა:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. ,,ზესტაფონპროექტი"

2. ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის სამსახურმა გამოყონ სათანადოდ უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის ობიექტის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3.მონაწილე მეწარმე სუბიექტთან ინტერესთა კონფლიქტის გამო კომისიიდან ამოღებული იქნას კომისიის წევრი თემური წიწილაშვილი.

4. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს 3 სამუშაო დღეში გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სატენდერო კომისია

ნუგზარ ქამუშაძე -(კომისიის თავჯდომარე)

ბესიკ ღიბრაძე - (კომისიის მდივანი)

ვიტალი ჩინჩალაძე – (კომისიის წევრი)

მალხაზ ღოლაძე - (კომისიის წევრი)